# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**ევროკავშირის ინიციატივა სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში**

**განხორციელების ვადა:** 15.06.2020 - 14.06.2022

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 34 720 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
World Health Organization (WHO)

**პროექტის აღწერა:**
„ევროკავშირის ინიციატივა სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ წარმოადგენს COVID-19-ის პანდემიაზე საერთო ევროპული პასუხის ნაწილს, რომლის მიზანია მოკლევადიანი გადაუდებელი საჭიროებების მოგვარება. ინიციატივა ასევე თვალისწინებს გრძელვადიანი სტრუქტურული ზეგავლენის განხორციელებას განსაკუთრებული აქცენტით სუსტი ჯანდაცვის სისტემების მქონე ყველაზე დაუცველ ქვეყნებზე. ინიციატივა ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებს ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში და მათ ყველაზე დაუცველი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ეხმარება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

ინიციატივა სამ ფაზად განხორციელდება:
- მოკლევადიანი პასუხი (3-4 თვე) - ინიციატივა დაიწყებს ყველაზე გადაუდებელ საჭიროებებზე რეაგირებას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მაქსიმალური სიმძლავრეების შექმნაში COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების მიზნით. ეს მოიცავს სამკურნალო დაწესებულებების და ჯანდაცვის პროფესიონალების მზადყოფნის მხარდაჭერას მათი უზრუნველყოფით ძირითადი აღჭურვილობით, სამედიცინო აპარატურით და ტრენინგით; ასევე COVID-19-ზე რეაგირების ეროვნული კოორდინაციის მხარდაჭერას და მოსახლეობის ინფორმირებას რისკების შესახებ.
- საშუალოვადიანი პასუხი (8-9 თვე) - ინიციატივა გააგრძელებს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებაში COVID-19-ზე რეაგირების მიზნით; გაგრძელდება ძირითადი აღჭურვილობის და სამედიცინო აპარატურის მიწოდება, ასევე პოტენციალის შექმნა ჯანდაცვის დაწესებულებების დასახმარებლად.
- გრძელვადიანი პასუხი და სიცოცხლისუნარიანობა (12 თვე) - პანდემიიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროგრამა დაეხმარება პარტნიორ ქვეყნებს ჯანდაცვის სამსახურების და გადაუდებელი დახმარების მიწოდებაში და გადაუდებელ მოვლენებზე რეაგირების ეროვნულ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში თითოეული ქვეყნისთვის.